

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორების სამსახურში მისაღებად რექტორის 2018 წლის 1 მაისის №99/01-01 ბრძანების საფუძველზე მათემატიკის და კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტების მათემატიკური ლოგიკისა და დისკრეტული სტრუქტურების (ინტერდისციპლინური) და რიცხვითი ანალიზის და გამოთვლითი ტექნოლოგიების (ინტერდისციპლინური) კათედრებზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად აკადემიური საბჭოს 2018 წლის 4 ივნისის №142/2018 დადგენილების მე-6 პუნქტის საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

### შემაჯამებელი ოქმი №1

ქ. თბილისი

23 ივლისი, 2018

14:45 სთ

სხდომას ესწრებოდა კომისიის ხუთივე წევრი: 1) გიორგი გიორგობიანი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი (კომისიის თავმჯდომარე); 2) ნანა გულუა - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); 3) ვლადიმერ ოდიშარია – თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი (კომისიის მდივანი); 4) პაატა წერეთელი – შპს „EM კონსულტაციები და პროგრამული უზრუნველყოფა EMCიS“-ის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი; 5) ვიაჩესლავ მესხი – კიბერნეტიკის ინსტიტუტის უფროსი ინჟინერ-პროგრამისტი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

#### დღის წესრიგი:

1. მათემატიკური ლოგიკისა და დისკრეტული სტრუქტურების (ინტერდისციპლინური) და რიცხვითი ანალიზის და გამოთვლითი ტექნოლოგიების (ინტერდისციპლინური) კათედრებზე პროფესორის თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის შედეგების შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის გადაცემა დასამტკიცებლად.

#### მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, გ. გიორგობიანის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ შეფასების ორივე ეტაპის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ.

მან აღნიშნა, რომ შეფასების პირველ ეტაპზე კომისიის მიერ შემოწმდა საკონკურსო დოკუმენტაცია, შეფასდა კონკურსანტების მიერ ანკეტაში მოყვანილი ინფორმაცია შეფასების ფორმის მიხედვით (დანართი 4).

1. მათემატიკური ლოგიკისა და დისკრეტული სტრუქტურების (ინტერდისციპლინური) კათედრაზე პროფესორის 1 ვაკანსიაზე განცხადება შემოიტანა ერთმა კანდიდატმა

1. რ. ომანაძემ.

შეფასების პირველ ეტაპზე, შეფასების ფორმის მიხედვით, საბუთები წარმოდგენილია სრულყოფილად. კონკურსანტი სრულად აკმაყოფილებს გამოცხადებული კონკურსის მოთხოვნებს. კონკურსანტის საერთო შეფასებაა „მაღალი“ (მე-2 კატეგორია - „მაღალი“, მე-3 კატეგორია - „მაღალი“, მე-4 კატეგორია - „მაღალი“). კონკურსანტს მიენიჭა პრედენდენტის სტატუსი და გადავიდა მეორე ეტაპზე, გასაუბრებაზე.

გასაუბრებამ აჩვენა, რომ კონკურსანტის ქცევის, მსჯელობის და გადმოცემის კულტურა, მეტყველების მანერა შესაბამისობაშია უნივერსიტეტის პროფესორისთვის აუცილებელ თვისებებთან და გამოცხადებულ ვაკანსიასთან.

- ფარული კენჭისყრის შედეგები ასეთია: რ. ომანაძე - მომხრე 5, მოწინააღმდეგე 0.

დაადგინეს:

მათემატიკური ლოგიკისა და დისკრეტული სტრუქტურების (ინტერდისციპლინური) კათედრაზე პროფესორის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე გამარჯვებულად გამოვლინდა

1. რ. ომანაძე

2. რიცხვითი ანალიზის და გამოთვლითი ტექნოლოგიების (ინტერდისციპლინური) კათედრაზე პროფესორის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე განცხადება შემოიტანა ორმა კონკურსანტმა,

1. რ. ბოჭორიშვილმა;
2. თ. ჯანგველაძემ.

შეფასების პირველ ეტაპზე, შეფასების ფორმის მიხედვით, ორივე კონკურსანტის საბუთები წარმოდგენილია სრულყოფილად. კონკურსანტები სრულად აკმაყოფილებენ გამოცხადებული კონკურსის მოთხოვნებს. კონკურსანტების საერთო შეფასებაა „მაღალი“ (მე-2 კატეგორია - „მაღალი“, მე-3 კატეგორია - „მაღალი“, მე-4 კატეგორია - „მაღალი“). კონკურსანტებს მიენიჭათ პრედენდენტის სტატუსი და გადავიდნენ მეორე ეტაპზე, გასაუბრებაზე.

გასაუბრებამ აჩვენა, რომ კონკურსანტების ქცევის, მსჯელობის და გადმოცემის კულტურა, მეტყველების მანერა შესაბამისობაშია უნივერსიტეტის პროფესორისთვის აუცილებელ თვისებებთან და გამოცხადებულ ვაკანსიასთან.

- ფარული კენჭისყრის შედეგები ასეთია: რ. ბოჭორიშვილი - მომხრე 4, მოწინააღმდეგე 1; თ. ჯანგველაძე - მომხრე 1, მოწინააღმდეგე 4.

## დაადგინეს:

რიცხვითი ანალიზის და გამოთვლითი ტექნოლოგიების (ინტერდისციპლინური) კათედრაზე პროფესორის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე გამარჯვებულად გამოვლინდა

1. რ. ბოჭორიშვილი.

2. დღის წესრიგის მეორე საკითხი.

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ აკადემიური საბჭოს #118/2014 დადგენილების თანახმად კომისიამ

## დაადგინა:

შემაჯამებელი ოქმი #1 გადაეცეს დასამტკიცებლად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს.

1) გიორგი გიორგობიანი (კომისიის თავმჯდომარე);



2) ნანა გულუა (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);



3) ვლადიმერ ოდიშარია (კომისიის მდივანი);



4) პაატა წერეთელი;



5) ვიაჩესლავ მესხი.

